



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბრენებულო



განკარგულება № 146

29 მარტი
“—” 2024 წ.

ა. თბილისი

„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 მარტის №24.479.551 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01240321641-67 (№01240711-67; №01240741614-67; №01240783991-67; №01240793083-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.479.551
21 / მარტი / 2024 წ.

„ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 1 თებერვალს N01240321641-67 (N01240711-67; N01240741614-67; N01240783991-67; N01240793083-67) განცხადებით მიმართა დაკით საგანელიძემ (პ/ნ 01024006858) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.14.06.006.135; 01.14.06.006.143; 01.14.06.006.134; 01.14.06.006.137; 01.14.06.006.136; 01.14.06.006.139; 01.14.06.006.140; 01.14.06.006.141; 01.14.06.006.144; 01.14.06.006.145; 01.14.06.006.142; 01.14.06.006.138; ნაკვეთი 06/021). კამური ფართობი: 62 116 კვ.მ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 სექტემბერის N488 განკარგულებით კი დამტკიცებული იქნა განაშენიანების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილება, რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვნად იცვლება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დადგენილი განაშენიანება.

კორექტირებული პროექტით დადგენილი ფუნქციური ზონირება - სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ნაწილი იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ითა (სსზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორია იმიჯნება 8 საპროექტო ნაკვეთად, ნაცვლად 12-ისა, უნივერსიტეტის ქუჩის გასწორივ სართულიანობა ნაცვლად 12-ისა გახდა 3 - 4 მიწისზედა სართული.



საპროექტო გადაწყვეტით მოეწყობა უნივერსიტეტის ქუჩის პარალელური გზა, რომლის ჩრდილოეთ მხარეს სრულად კომერციული შენობები განთავსდება, ხოლო სამსრეთ ნაწილში - პირველი 3 სართული იქნება კომერციული, აღნიშნული შენობების მაქსიმალური სართულიანობა იქნება 8 მიწისზედა სართული. საპროექტო გადაწყვეტით კომერციული ფართების ქვემოთ მოეწყობა მიწისქვეშა ავტოსადგომები.

ასევე, ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში გაუქმდა კომერციული სივრცეებისთვის გათვალისწინებული შენობა-ნაგებობები და მათ ნაცვლად ეწყობა სრულად საცხოვრებელი შენობები, მაქსიმალური სართულიანობით 22.

ტერიტორიის სამსრეთ ნაწილში 32 სართულიანი შენობა-ნაგებობის ნაცვლად ეწყობა 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მაქსიმალური სართულიანობით 12 და 18 მიწისზედა სართული.

საპროექტო წინადადებით დაგეგმილია ცენტრალური სკვერის შენარჩუნება, ფართობით - 9625 კვ.მ.

ტერიტორიას კვეთს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული წყალსადენის ორი D=500მმ-იანი ქსელი და ვრცელდება ხაზობრივი ნაგებობის შეზღუდვა, რომელიც საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული და დაცულია.

ქალაქთშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

(სტ-2) - 58 050 კვ.მ.

კ-1 = 0,3 - 17 415 კვ.მ.

კ-2 = 3,2 - 186 091 კვ.მ.

კ-3 = 0,3 - 17 414,7 კვ.მ.

(ტბ-1) - 4 066 კვ.მ.

კ-1 = -

კ-2 = -

კ-3 = 0,3 - 406,6 კვ.მ.

75% - საცხოვრებელი - 139 568 კვ.მ.

25% - კომერციული - 46 523 კვ.მ

სართულიანობა: 3, 4, 8, 12, 18, 22.

მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა შეადგენს 531.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის

მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგევმარჯებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) განაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური სააგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა დამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 19 მარტის N01240793540 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, 2024 წლის 19 მარტის N01240792472 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

შემორჩნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01240321641-67 (N01240711-67; N01240741614-67; N01240783991-67; N01240793083-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწოდებულ იქნას „ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.021; ნაკვეთი 06/021) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N141 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწოდებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი წმალაძეს.

4.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა გალაძე





ესლაპ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო
სამართლის იურიდიული პირი – ესლაპ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01240792472
თარიღი: 19/03/2024

2024 წლის 18 მარტის N 01240783991-67 განცხადების პასუხად, რომელიც შექმნება ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.06.006.144, 01.14.06.006.136, 01.14.06.006.145, 01.14.06.006.134, 01.14.06.006.135, 01.14.06.006.138, 01.14.06.006.137, 01.14.06.006.143, 01.14.06.006.140, 01.14.06.006.141, 01.14.06.006.142) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 5 ოქტომბრის N 01202795028-67 განცხადების პასუხად N 0120282590 წერილით, ასევე დადებითი პოზიცია დაფიქსირებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილების დამტკიცების ეტაპზე.

ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია პვალიფიციური ელექტრონული ხელშროწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01240793540
თარიღი: 19/03/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 19 მარტის №01240793083-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.06.006.135, 01.14.06.006.134, 01.14.06.006.137, 01.14.06.006.140, 01.14.06.006.141, 01.14.06.006.136, 01.14.06.006.138, 01.14.06.006.139, 01.14.06.006.143, 01.14.06.006.144, 01.14.06.006.145, 01.14.06.006.142; არსებული ფუნქციური ზონა: სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და საზოგადოებრივსაქმიანი ზონა 2 (სზ-2); გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: რზ-1; საპროექტო ფუნქციური ზონა: სზ-2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი 12 ძირი (ს/კ: 01.14.06.006.135 - №723; 736; 738; 739; 740; 941; 742; ს/კ: 01.14.06.006.136 - №1250; ს/კ: 01.14.06.006.142 - №641; 642; ს/კ: 01.14.06.006.143 - №557; ს/კ: 01.14.06.006.145 - №614;) მწვანე ნარგავი განვითარება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განვითარება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზემელი/ხმობადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 175 ძირი (ს/კ: 01.14.06.006.134 - №29-31; 33; 35; 37; 49; 51; 64-66; 80; 87-88; 90; 95; 99; 115; 116; 158; 173-174; 178; 187-189; 191; 192; 198; 200; 201-207; 208; 215-217; 218-226; 228; 230; 237; 248; 262-263; 265; 267; 285-294; 295; 296-299; 300; 301; 302-303; 304-305; 306-312; 313; 314-320; 323; 324-327; 328; 329-332; 333; 334; 340; 346; 347-349; 350; 351; 354; 356-357; 374; 377; 386; 390; 401-403; 412-413; 414; 353; 358; 360; 362; 368; 383; 394; 396; 428-429; 430; 431-433; 434; 435; ს/კ: 01.14.06.006.135 - №746; 754; 763-765; 838; 855; 891; 893; 895; 897; 902; 910; 913; 931; 938; ს/კ: 01.14.06.006.136 - №1162; 1163; 1165; 1221; 1223; 1304; ს/კ: 01.14.06.006.137 - №1522; ს/კ: 01.14.06.006.140 - №480; 482; 484-486; 493-497; 499; 504; 511; ს/კ: 01.14.06.006.141 - №684; ს/კ: 01.14.06.006.142 - №634; 643; ს/კ: 01.14.06.006.143 - №519-520; 525-526; 533; 539; 546; 556; 563-564; ს/კ: 01.14.06.006.145 - №627; 633) ზემელი/ხმობადი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ასევე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნების გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემლელი 191 ძირი ჯანსაღი მწვანე ნარგავი (ს/კ: 01.14.06.006.134 - №72; 102; 176; 177; 251; 417; ს/კ:

01.14.06.006.135 - № 865; 916-917; 930; 939; 946; 947 – 1125; ს/კ: **01.14.06.006.140** - №478) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარცვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღმდერილი 648 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღმატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარცვისა და გახარების შესაძლებლობა (ს/კ: **01.14.06.006.134** - №1-2; 3; 4-6 ; 7; 8-14 ;15 ; 16; 18; 19; 21; 22-24; 25; 26; 27; 28; 34; 38-48; 50; 52-63; 67-68; 69; 70-71; 73-79; 81-86; 89; 91-92; 97; 100-101; 117-118; 121; 122; 124-125; 139; 141-145; 146; 147-153; 155; 157; 159-170; 175; 179; 244; 249-250; 252; 339; 344-345; 355; 364-366; 369; 370; 372; 373; 376; 381; 382; 387; 388-389; 391-393; 398-399; 400; 404-409; 410; 411; 415-416; 419; 420-424; 425; 427; 436; 437-449; 450 -451; 20, 32, 36, 93-94, 96, 98, 103, 119-120, 172, 243, 246, 253; 341-343; 397; 426; 452-454; ს/კ: **01.14.06.006.135** - №710; 712; 713; 714; 715-721; 722; 725-728; 730; 731; 732; 733; 734; 735; 737; 741; 745; 833; 834-837; 839; 840; 841; 842; 843; 844-845; 846; 847; 848-850; 851; 852; 853-854; 856-861; 862-863; 864; 866-868; 869-874; 876-878; 879-881; 882; 888; 889-890; 892; 894; 896; 899; 900-901; 903-909; 911-912; 914; 915; 918-920; 927; 932-935; 936; 940; 942-943; 945; 724; 729; 875; ს/კ: **01.14.06.006.136** - №1150; 1151; 1153-1154; 1155; 1156; 1157; 1158-1161; 1166; 1169; 1170; 1171-1178; 1179-1187; 1197-1198; 1199; 1204-1207; 1208; 1209; 1211-1213; 1217; 1218; 1219; 1224; 1229; 1231-1232; 1235-1237; 1239-1240; 1241; 1249; 1279; 1282; 1288; 1287; 1292-1294; 1295; 1296; 1299-1300; 1317-1318; 1323; 1325-1326; 1329-1331; 1334; 1327-1328; ს/კ: **01.14.06.006.137** - №1504-1512; 1516-1517; 1538; 1547-1549; 1550; 1551-1554; 1561; 1562 ; 1563; 1564-1578; 1579; 1580-1583; 1606; 1611; 1612-1613; 1616; 1617; 1618; 1619; 1620; 1621-1622; 1623; 1642; 1643-1685; ს/კ: **01.14.06.006.138** - №457-471; 456; 472; ს/კ: **01.14.06.006.139** - №1126; 1127; ს/კ: **01.14.06.006.140** - №473; 475-477; 479; 481; 483; 487-492; 498; 500-501; 502; 503; 505; 507; 508; 510; 474; 506; ს/კ: **01.14.06.006.141** - №645; 648; 650; 651-653; 654; 655-666; 669-683; 685-692; 693; 694; 696; 700; ს/კ: **01.14.06.006.142** - №635-637 ; 638 ; 639-640; ს/კ: **01.14.06.006.143** - №512-515 ; 516-518 ; 521-524 ; 527 ; 528-531 ; 535-538 ; 540 ; 542-545 ; 547-550; 551-553; 555; 558-562; 565-571; 532; 534; 541; 554; ს/კ: **01.14.06.006.144** - №1130-1133; 1137-1149; 1134-1136 ს/კ: **01.14.06.006.145** - №572-585; 587-613; 615; 616; 622; 623; 624; 625-626; 628-629; 630-632; 617-621) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, საშახური თანახმაა გადასარგოს შემოაღნიშნული 648 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 13 ძირი (ს/კ: **01.14.06.006.134** - №17; 418; 455; ს/კ: **01.14.06.006.135** - №944; ს/კ: **01.14.06.006.136** - №1152; 1164; 1167; 1168; 1196; 1238; ს/კ: **01.14.06.006.140** - №509; ს/კ: **01.14.06.006.141** - №649; ს/კ: **01.14.06.006.145** - №586) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღმატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღმატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ცენტრი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავის ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიზედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადასარგოს შემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარცვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეციექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: 1276 ძირი და საპროექტო დასარგავი: 15 ძირი იტალიური ფერზე; 15 ძირი ჰიმალაის კედარი; 15 ძირი ცრუ აგაცია, რობინია; 15 ძირი უნგრული ცაცხვი; 15 ძირი მტირალა ტირიფი; 54 ძირი ოლენენდრა; 15 ძირი ქვამუხა; 25 ძირი ირმის რება; 15 ძირი ამბრის ხე; 10 ძირი წითელი ტყემალი; 36 ძირი იაპონური კვიდო; 10 ძირი არიზონას კვიპაროსი; 18 ძირი არდავანი, იუდას ხე; ჯამში - 1534 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო საანგარიშო ფართობს (17821.3 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განვარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული წევების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ წყლის მილის გარდა


ფიქსირდება სსვა ზაზობრივი ნაგებობებიც, ასევე, თუ საპროექტო წინადადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ჟემოალნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანაზმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.


გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელშრეერა/ელექტრონული შტამპი



Uma vez que o resultado da votação é conhecido, os resultados são divulgados para todos os eleitores. Os resultados são publicados em sites de mídia social, como Facebook e Twitter, e também são divulgados em notícias locais e regionais. Os resultados são também divulgados em sites de notícias internacionais, como BBC e CNN. Os resultados são divulgados em sites de notícias internacionais, como BBC e CNN.



the first time in the history of the country. The new law was passed by the House of Representatives on June 23, 1948, and by the Senate on July 2, 1948. It was signed into law by President Harry S. Truman on July 26, 1948.




Այս աշխատանքը կատարվելու ժամանակաշրջանում է 10 տարվա ընթացքում:

46
A7/1 1550
Digitized by srujanika@gmail.com


1323-1403/03\$

1-1




2-2



3-3



4-4



ନ୍ୟୁକ୍ତିପାତ୍ର ବେଳିକାଳିକ ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟମ ବିଦ୍ୟାଲୟା ବ୍ୟାକ୍ସନିକ ଅଧ୍ୟାତ୍ମିକ ବିଦ୍ୟାଲୟା ଶ୍ରୀକଳିମ୍ବି ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟମ ବିଦ୍ୟାଲୟା ଶ୍ରୀକଳିମ୍ବି ସାଂଗ୍ରହିତ୍ୟ ବିଦ୍ୟାଲୟା ଶ୍ରୀକଳିମ୍ବି ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟମ ବିଦ୍ୟାଲୟା ଶ୍ରୀକଳିମ୍ବି ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟମ ବିଦ୍ୟାଲୟା ଶ୍ରୀକଳିମ୍ବି ପାଠ୍ୟମାଧ୍ୟମ ବିଦ୍ୟାଲୟା	 A1 ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ  ଦେଖିବାରେ
--	---








ବ୍ୟାକ୍ ଏଥିରେ B2
ବ୍ୟାକ୍ ଏଥିରେ B2
ବ୍ୟାକ୍ ଏଥିରେ B2

卷之三



Guidelines

ପ୍ରକାଶକ ପତ୍ର


01.14.06.006.134; 01.14.06.006.135;
01.14.06.006.136; 01.14.06.006.137;

ବ୍ୟାକିନୀ ପଦ୍ମପଣ୍ଡିତ

104

Urban Geographies

ဗျာမာရ်ချုပ်
နှစ်မြတ်သွေ့ဂျာမ်း
ဗျာမာရ်ချုပ် မီရိန် 10 မီတ္ထရိန် ၁၀၁၉၂၁၀



ANSWER

ବ୍ୟାକ୍‌ରୂପରେ କଥାକଥା ହେଉଥିଲା

264

